№ 92

სამშაბათი, 2 მაისი 1895

1877—1895

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

№ 92

სამშაბათი, 2 მაისი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" სასარგებლოდ

**დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა 7 მ ა ი ს ს.**

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).

იმ შემთხვევაში, თუ ამ დღეს ცუდი, წვიმიანი ამინდი იქნება, ლატარია-ალეგრი გადადებულ იქნება 14 მაისისათვის.

მიიღება ხელის მოწერა მეურნეობის, ეკონომიის, ვაჭრობისა და მრეწველობის, სტატისტიკისა და საბეითალო ყოველ-კვირეულს ჟურნალს

## „მეურნე"-ზედ

(წელიწადი მერვე).

ხელ-მოსაწერი ფასი: წლით (ამ წლის აპრილიდგან მომავალ 1895 წლის აპრილამდე) **ხუთი** მანეთი. ნახევარის წლით **სამი** მანეთი. ფოსტის ადრესი: Въ Кутаисъ. Въ редакцію „**Меурнэ**".

(5—1)

გამოვიდა მე 3-№-ი ყოველ-კვირეულ ჟურნალის „მეურნესი". შინაარსი მესამე №-სა შემდეგია: 1, ვაზის ავადმყოფობანი, იოსებ გუნცაძისა; 2, სტამის ხის მოვლა-მოშენება, ალექსანდრე შარაშიძისა; 3, ყველის კეთება, იოსებ მინდოდაურის; 4, ქართული სუფრა და 5, განცხადება.

—

გამოვიდა მე-IV №-ი ჟურნალ „მოამბისა" შემდეგის შინაარსით:

I „ფირალი დაკლამე".—მოთხრობა ლალიონისა.

II „უნუგეშო ყოფნა".—ლექსი კაკაფშაველასი.

III „კარიპანიძიანთ ნინო.—მოთხრობა საქართველოს ცხოვრებიდან არტურ ლეისტისა, თარგმანი გერმანულით (დასასრული).

IV „წყარო".—ლექსი ცახელისა.

V „ცეცხლითა და მახვილითა".—რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ყ—ძისა (გაგრძელება).

VI „განთიადი".—მოთხრობა ქეთოსა, თარგმანი თ. სახოკიასი (გაგრძელება).

VII *** (ჰეინედან).—ლექსი, თარგმანი ი. ბაქრაძისა.

VIII „შილდა".—არქეოლოგიური წერილი ე. შილდელისა.

IX „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა".—VI—მ. გელ—სა.

X „ორიოდე მოსაზრება ქართულის ენისა და გრამატიკის შესახებ".—გრ. ყიფშიძისა.

XI „სასოფლო სამეურნეო ამხანაგობანი საფრანგეთში".—წერილი ცაგხისა, თარგმანი G-სა.

XII „რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამოყენება".—III რძის გამოსაკვლევნი საშუალებანი.—პროფესორის ვ. ხეტრიაშვილისა (გაგრძელება).

XIII „ბიბლიოგრაფია".—აკაკის ნაგვესბი, წიგნი პირველი, შეკრებილი და გამოცემული თ. სახოკიას მიერ, ტფ. 1895 წ.

—გიორგი გვაზავა:—1) «ბატონიშვილი ლევანი»—2) «ლილო». ტფ. 1895 წ.

ქრონიკა:

XIV „უცხოეთის მიმოხილვა".—ახალი შფოთი ოსმალეთში.—ნ. ნიკოლაძისა.

XV განცხადებანი.

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გასამართ ლატარია-ალეგრის შემოსწირეს: კ-ნა ო. მიქელაძისამ: მშვენიერი ნაქერი ბალიში და გრძელი ნაქერი ნაქერი ფარჩა; კ-ნა პუპი აბაშიძისამ საუცხოვოდ ნაქერი ყვავილებიანი ბალიში და რუსულ უნაგირების მკეთებელმა იასე ყაფლანის ძე ხუნდაძემ ვენახში ვაზის წამლობის დროს სახმარებელი საზერველი.

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, 2 მაისს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა, რომელზედაც განხილულ იქმნება: მიმდინარე საქმეები და მოხსენება ა. ბ. ევანგულოვისა „ხორბლის გადატან-გადმოტანისა და ტფილისში სამეურნეო ნაწარმოებთა ბირჟის დაარსების შესახებ". კრებას გარეშე პირთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

*** გამოვიდა ახალი სახალხო წიგნი „თევდორე მღვდელი" (თომაანთ კობაძი;) შინაარსი წიგნისა ამოღებულია საქართველოს ისტორიიდგან, შეიცავს 56 გვერდს და ღირს შაური.

*** გუშინ-წინ, 30 აპრილს, ოლღას მე-2-ე საქალებო გიმნაზიაში წლიური აქტი იყო, რომელზედაც საუკეთესო მოწაფე ქალთ დაურიგდათ ჯილდოები. ოქროს მედლით დაჯილდოებულ იქმნენ შარშან სწავლა-დამთავრებულნი: ელენე წერეთლისა *), ტატიანა კოხანოვსკაია და ლიდია პროცენკო; ვერცხლის მედლებით: ეკ. ბენდენოვიჩი და ოლგა ბროდსკაია. პირველის ხარისხის ჯილდო მიიღეს 6 მოწაფემ და მეორე ხარისხისა 15 მა. წლიურ ანგარიშიდგან სჩანდა, რომ ამ მიმდინარე წლის 1 იანვრამდე გიმნაზიაში ყოფილა 511 მოწაფე ქალი: მოსამზადებელს კლასებში ყოფილა 58,—I კლასში 86;— II-ში 94; III-ში 86; IV-ში 72; V-ში 49; VI-ში 41 და VII-ში 26. წლის დამლევს უკანასკნელს კლასში ყოფილა 21 მოწაფე ქალი და გაუთავებია ამათში 20-ს. ეროვნებით მოწაფე ქალნი ყოფილან: 255 რუსი, 58 ქართველი, 100 სომეხი, 2 თათარი, 21 ებრაელი და 75 სხვა-და-სხვა ეროვნებისა.

გიმნაზიასა აქვს სულ 13 სტიპენდია: 8 ამათგანი ქალაქისაა ($1^{1}/_{2}$ ათასი მან.), ოლღას სახელობაზედ 2, კრესლოვსკის სახელზედ 2 და 1-ც ჰოლმბლატისა. შარშან გიმნაზიას მიუღია 188 თხოვნა მიღებისათვის, რომლიდგანაც 20-სათვის უარი უთქვამს.

*) ელენე წერეთლისა ჩვენის ცნობილის მწერალის გ. წერეთლის ასულია. ეს ყმაწვილმა ქალმაგარდა იმისა, რომ სამაგალითოდ დაამთავრა სწავლა, იგი მშვენიერად ხატავს, სწავლობს უცხო ენებს, სთარგმნის ჩინებულის ენით პატარ-პატარა მოთხრობებს და თავისითაცა სწერს.

იმედია, ელენე წერეთლისა თავისს ბუნებრივს ნიჭს შემდეგშიაც შესაფერის ვარჯიშით და შრომით შეამკობს და სამაგალითოდ გახდება სხვა მოსწავლე ქართველ ქალთათვის.

*** 1 მაისიდგან მიმოსვლა საფოსტო ეტლებისა კავკავის სამხედრო გზაზედ ზაფხულის წეს-რიგით იქმნება. კარეტები გავლენ ტფილისიდგან დილის 7 და 9 საათზედ, ხოლო ომნიბუსები ნაშუადღევის 3 და 5 საათზედ („ნოვ. ობოზ.").

*** ოც-და-რვა აპრილს მთაწმინდაში ორს მცირე-წლოვანს ყმაწვილს თამაშობაში ჩხუბი მოუვიდათ და ერთმა მეორე დანით დასჭრა სახეში. ჭრილობა, ექიმის სიტყვით, საშიშია.

*** განჯის მიხეილის სახელოსნო სასწავლებელი და ზაქათალისა, როგორც „ნოვოე ობოზრენიეს" შეუტყვია, განზრახვა აქვთ თურმე მეორე ხარისხის სამეურნეო ღვინის მკეთებელ სკოლებად გადააკეთონ. ამ სკოლებში სამი სპეციალური კლასი იქმნება გახსნილი, სადაც ასწავლიან გარდა ღვინის დაყენებისა, ხეხილების მოშენებას, მებოსტნეობას, მეაბრეშუმეობასა და მეფუტკრეობას; გარდა ამისა მოწაფენი ამა სკოლისანი ისწავლიან შემდეგს ხელობას: ბოჩკების კეთებას, მჭედლობა-ზეინკლობასა და დურგლობას.

*** ოზურგეთიდგან გვატყობინებენ, რომ იქ დიდი გაჭირვება ყოფილა მეაფთიაქის სრულიად თავისებურის ჩვეულებით.

ამ ქალაქში ერთად-ერთი ადგილია, სადაც შესაძლოა წამლის მოპოვება და ისიც გაიღება ხოლმე მხოლოდ 9 საათზედ დილით და დაიკეტება საღამოს 11 საათზედ. ასე რომ ღამის თერთმეტ საათიდგან დილის 9 საათამდე სრულიად რომ გაწყდეს მთელი ოზურგეთი და იმისი არე-მარე სოფლები, კაცი წამალს ვერ იშოვის! ხოლო რამდენად საჭიროა წამალი თავისს დროზედ, ეს ოზურგეთის აფთიაქის პატრონს ან ყობა ან არ ესმის, ან არ უნდა ესმოდეს.

საჭიროა, რომ ფიცხელი ყურადღება იყოს მიქცეული ადგილობრივ პოლიციისაგან და ჩვენ გვაკვირვებს, ან ამდენს ხანს როგორ მოუვიდათ ოზურგეთის მოხელეთ, რომ ასეთი საქმე უყურადღებოდ დაუგდიათ?!.

*** ცხინვალი: 23 აპრილს აქ თოვლი მოვიდა. ისეთი სიცივეები დადგა, რომ, უეჭველია, ნათესები გაუფუჭდება. აქ რაღაც ჭიამ იჩინა თავი; ამ ჭიას „ბლუნძელას" ეძახიან. საშინელი მტერია ნათესებისა. ამ ჭიის დასახოცად მცხოვრებლებს ურჩევთ წყალში გახსნილი ლიზოლი იხმარონ.

## კორესპონდენცია.

—

**სოფ. ოფჩა** (იმერეთი). სწორედ ერთი წელიწადი შესრულდა, რაც ქ. ქუთაისში, ერთის თავადის ოჯახში, უცნაური ქურდობა მოხდა („ივერია" № 96—94 წ.) და გამოძიებაც ამ საქმისა გათავდა. 21 ამა აპრილს ქუთაისის მეორე განყოფილების გამომძიებელმა ხსენებული პირი დამნაშავედ სცნო და 3000 მანეთის თავდებობით გაუშვა. აგრეთვე 28-ს გავლილს მარტს ქ. მაზრის სასამართლოს განყოფილების ბაღდადის გამომძიებელმა შეასრულა გამოძიება იმ საქმისა, რომლითაც ბრალდებოდა ამავე მანდილოსანს არაყის გამოხდა („ივერია" 1894 წ.) და აიხსნა კიდევაც მისი დანაშაულობა, მაგრამ იხმარა თავისებური ხერხი და წარუდგინა მაძიებელს თავისი მაზლი (არა რის მქონე და სულით ავად მყოფი), რომელმაც თავისს თავზედ მიიღო დანაშაულობა და ნამდვილმა დამნაშავემ განითავისუფლა თავი.

წარსულს 1894 წელში ამ საპატიო პირმა, რასაკვირველია, ქმრის დახმარებით, 13 საათის განმავლობაში, ესე იგი საღამოს 6 საათიდგან დილის 7 საათამდე ერთი მდიდარი მემამულის მიწაზედ (ან-ვი) ძელური სახლი დადგა და დაბინავდა კიდევაც შიგ. ეზოში ხბოიანი ძროხები, წიწილებიანი ქათმები და ინდოურები გაუშვა და, რომ გაიგო ადგილის მეპატრონის საჩივრისა გამო მაზრის უფროსი თავ. დ-ნი მობრძანდებაო—მეზობლები მოიწვია, თარი ხელში დაიჭირა და ქეიფს შეუდგა. მაზრის უფროსმა, რომ ეს გარემოება ნახა, გაკვირდა და სთქვა: „აქ ერთის წლის დასახლებული კაცი უნდა ცხოვრობდეს და არა 24 საათისაო." რადგან საქმეს სასამართლოში დაწყების პირი უჩნდა, ადგილის მეპატრონემ მეტი ვ'ღარა გააწყო რა და როგორც შეძლებულმა პირმა 150 მანეთი აჩუქა ამ მანდილოსნის მეუღლეს და დგილიდგან გამოისტუმრა. თუმცა მემამულეს ასე არ ენებებინა ცრუმოწმეების შემწეობით ეს მანდილოსანი მფლობელობას ხმარობდა—. ასე და ამ გვარად მოქმედებს ეს ადამიანი კაი ხანია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყველაფერ!. თავიდგან იცდენს და ხმა-მაღლადაც ამბობს: „ვინ რას მიზამს, ან ცრუ-მოწმეებით გავიტან საქმეს, ან მანიფესტითაო..."

ჩ.

## ს ე ტ ყ ვ ა.

(სახალხო ლექსი)

ხის ქვეშა მწვანე მდელოზედ
გლეხი ზის დაღონებული,
ცასა შეჰყურებს საბრალო
და მოსთქვამს გამწარებული:

—

დავგრიხე ჰაპან-ჯამბარა
ხელი მივყავი ხვნასაო,
დავფარცხ—დავთესე და უხვად
გამოველოდდი ძნასაო;

—

მეგონა, მითი წლის სარჩოს
მოვიპოვებდი ბევრსაო
და დავხვდებოდი მით კარგა:
მოყვარესა და მტერსაო.

—

მაგრამ ამაოდ, გაცრუვდა
ჩემი იმედი სრულადა
და თანაგრძნობის ნაცვლადა
ცამ გადმომხედა მტრულადა...

—

დაბნელდა, უცბად, უეცრად,
ასტყდა ჭექა და ქუხილი,
მყის ვიგრძენ ჩემი დაღუპვა,
გულს დამებადა წუხილი...

—

ჩარეგვა სეტყვამ საშინლად
ი ჩემი ჭირნახულია,
ხელზედ მოფშვნეტაც არ დამრჩა,
დამიავადდა გულია...

—

მომეცა სევდა უსაზღვრო,
ვიძახი: „ვაჰმე, შვილებო,
გშიანთ და პური არა გვაქვს,
თქვენ ჩემო მარგალიტებო"...

—

არ ვიცი, საით წავიდე—
ან ვის მივადგე კარზედა,
რომ შემიბრალოს, მომხედოს
მე გაჭირვებულს ძალზედა;

—

გამომიწოდოს, ვითა ძმას—
აღსადგინებლად ხელია,
კავმხნევდე და საგაისოდ
კვლავ მოვხნა მინდორ-ველია.

—

ჰო! ღმერთო, ღმერთო, შენ იყავ
სამაგიეროს მთქმელია,
რომ ასე ულმობლოდ მოგვეპყრა
ღრუბელთ ბატონი ელია!...

დ. ნინოწმინდელი.

1895 წ.

## კავკასიის იურიდიულ საზოგადოების კრება.

კვირას, 30-ს აპრილს, აქაურს იურიდიულს საზოგადოებას მორიგი კრება ჰქონდა, რომელსაც, სხვათა შორის, სენატორი კონიც დაესწრო. რამდენისამე ადმინისტრატიულ საქმეების განხილვის შემდეგ „საზოგადოების“ წევრმა ა. ა. კრასოვსკიმ მოახსენა კრებას, თუ როგორ უყურებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი პროექტი მსაჯულთა უფლებას. მოხსენებაც და ნამეტურ კამათი, რომელიც მან გამოიწვია ყურადღების ღირსი იყო და ამიტომ მოვიყვანთ აქ დაახლოვებით მათს შინაარსს.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ახლა მუშაობს კომისია, რომელსაც საგნად აქვს რუსეთის სასამართლო კანონების განხილვა. აი, ამ კომისიის მიერ შემუშავებულს პროექტს შეეხო ბ-ნი კრასოვსკი და განიხილა ის სიმართლე, რომლითაც მსაჯულს ეძლევა უფლება დამნაშავეთათვის სასჯელის ამორჩევისა. როგორც უკვე ცნობილია, პროექტი უდიდესს უფლებას ანიჭებს მსაჯულს სასჯელის ამორჩევაში. თუ უწინ მსაჯულს ორ-წილად შეეძლო სასჯელის შემსუბუქება, პროექტით მას ლის შემსუბუქება, პროექტით მას ნება აქვს შვიდ-წილად დაუკლოს სასჯელი. რეფერანტის აზრით პროექტის ძირეული პრინციპია: რაც შეიძლება ვრცელი უფლება მიეცეს მსაჯულს, არ შეიზღუდოს კანონით მისი ნება სასჯელის ამორჩევის დროს. კანონმდებელი დიდს უფლებას ანიჭებს მსაჯულს და ამით აღნიშნავს დიდს ნდობას მსაჯულისადმი. მსაჯულის უფლების ამგვარი გაძლიერება ევროპის კანონ-მდებლობის ხასიათია და ახლა ჰსურთ რუსეთის კანონში შემოიღონ ეს პრინციპი. აღნიშნა-რა ხასიათი მსაჯულის უფლებისა ახალის პროექტის ძალით, ბ-ნი კრასოვსკი შეუდგა მისს კრიტიკას. კანონ-მდებელმა ერთხელვე უნდა აღნიშნოს—რა დანაშაულს რა სასჯელი შეჰფერის, რათა მსაჯულს ნება არ ჰქონდეს თავისის მოსაზრებით იხელმძღვანელოს.

კანონმდებელს უფრო შეუძლიან იცოდეს ცხოვრება, იცოდეს სხვა-და-სხვა გარემოება, უფრო გამოცდილი იყოს, უფრო შეეძლოს აწონ-დაწონვა მრავალ პირობათა, რომელნიც ჰბადვენ დანაშაულს; ამის გამო კანონმდებელს შეუძლიან უფრო სამართლიანი სასჯელი მიუსაჯოს ყოველგვარ დანაშაულს, ვიდრე შეიძლებს მსაჯული, რომელსაც არც იმდენი ცოდნა აქვს, არც გამოცდილება, რამდენიც კანონმდებელს. თუ ევროპაში მსაჯული თავისის მოსაზრებით არჩევს სასჯელს და ამასთანავე სიმართლის გზას არ ასცილდება, ეს იმიტომ, რომ იქ, ევროპაში, მსაჯული ყურს უგდებს და ემორჩილება საზოგადოების აზრს. იქ არსებობს საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც ემორჩილება ყველა და აგრეთვე მსაჯულიც. ევროპაში მსაჯული თავისუფალი არ არის, ის ემორჩილება საზოგადოებას, საზოგადოების აზრს და შეხედულებას; თუმცა კანონი დიდს უფლებას აძლევს ევროპიელს მსაჯულს სასჯელის ამორჩევაში, მაგრამ ეს თავისუფლება მოჩვენებითია და არა ნამდვილი, რადგანაც მსაჯული ვერ გადუხვევს იმ გზას, რომელსაც მას საზოგადო აზრი უჩვენებს. ეს საზოგადო აზრის ძლიერება შედეგია დიდის ხნის კულტურისა და თავისუფალის პოლიტიკურის ცხოვრებისა. ხოლო რადგანაც რუსეთში არც ასეთი მდიდარი კულტურა არის, არც ასეთი თავისუფლება, ამიტომ არც საზოგადო აზრი არსებობს და მაშასადამე არ არსებობს ის ძალა, რომელიც დასავლეთს ევროპაში მსაჯულის თითქმის უსაზღვრო უფლებას ზღუდავს და მით არ აძლევს საშუალებას სიმართლის გზას ასცილდეს. რუსეთში არ არის ეს შემზღუდველი ძალა, ხოლო თვით საქმის გარჩევაში თავისს აპელაციებით, კასაციებით, და სხვა, მოიძებნება გარანტია, რომ მსაჯული თავისს უფლებას ბოროტად არ მოიხმარს, მაგრამ ეს გარანტია ფრიად უმნიშვნელოა. თუ ჩვენ მოვიგონებთ ამ 30 წლის ისტორიას, ცხადად დავინახავთ, რომ ჩვენი მსაჯული, ჰუმანურად აღზრდილი, კაცთმოყვარეობით სავსე, ყოველთვის ცდილობდა შეემსუბუქებინა სასჯელი. ერთს მაგალითს ვერ დამისახელებთ, რომ მსაჯულს დაედოს უდიდესი სასჯელი, რომელიც მას ღებულებაში უწერია, თუმცა საქმის გარემოება და თვით საზოგადოებაც უაღრესს სასჯელს მოელოდნენ (რეფერანტს მოჰყავს მაგალითები). თუ-კი საქმე ასეა, თუ-კი აქამომდე, როდესაც მსაჯულს კანონით მცირე უფლება ჰქონდა მინიჭებული სასჯელის ამორჩევის დროს, მაინც ბოროტად ხმარობდა თავისს უფლებას და გარეშე მოსაზრებით გატაცებული დამნაშავეს სასჯელს უკლებდა, უმსუბუქებდა, როგორ-ღა მოიქცევა იგივე მსაჯული, როდესაც კანონი მისს უფლებას უწინდელ უფლების მიხედვით ერთი-ორად აძლიერებს?! თუ პროექტი კანონად შეიქმნა, ვშიშობ, დააბოლოვა რეფერანტმა, რომ დამნაშავენი შესაფერად არ იქნებიან დასჯილნიო.

(დასასრული ხვალ.)

## დაგვიანებული პასუხი.

ეხლანდელს დროშიო,—ამბობს მონტანი,—ჩვენ მომეტებულ ნაწილად უფრო ვცდილობთ განმარტებულის განმარტებას, ვიდრე განვმარტოთ თვით საზოგადო საქმეო. სწორედ ეს სიტყვები მომაგონდა, როდესაც წავიკითხე ბ-ნ მაჩხანელის აჩქარებული პასუხი *). არ შევეხებით იმას, რომ იგი ამ ჟამად გაიძახის: თქვენ უვიცნი ხართ და როგორა ჰბედავთ ჩემისთანა ან კოოპერაციულს საქმეში დაახელოვნებულთან ლაპარაკსაო! ჩვენ იმის კიჟინს მაგდენად არ შევუშინდებით და კიდევ იმას ვიტყვით, რომ საქმე თუ ამ თავითვე რიგიანსა და მკვიდრს ნიადაგზედ არ აშენდა, შემდეგში თითზედ კბენა ძლიერ გვიან იქნება; მაგრამ, თუ ეხლავე საქმეს მკვიდრი და შეურყეველი ნიადაგი მოუნახეთ, მაშინ თვით მტერნიც ვერას დააკლებენ. ეს ჭეშმარიტება თითონ მაჩხანელსაც, ვიცით, კარგად ესმის და თანამგრძნობთა რჩევა არ უნდა აწყმატებდეს.

ბ-ნი მაჩხანელი თავისს საპასუხო წერილში ბრძანებს: „პროექტი რომ გულდადებით შეგვესწავლა, ან თავიდგან ბოლომდის მაინც არის წაგვეკითხა, ისეთს ცრუ მოსაზრებას არ წარმოვიდგენდით სახეში; ეს ასე გამოდის იმის კიჟინით! ჩვენ მოვახსენებთ:—პროექტი ერთხელ და რამდენჯერმე გადვიკითხეთ, კითხვის დროს ავუქციეთ მხარი დიდის ოცნებით აშენებულს ფართო მოედნებს და სხვა ნაკლულევანებას, ან გამოვნახეთ ჯერ ის, რომლის შესახებაც ჩვენ ჩვენი მოსაზრება წარმოვსთქვით.

*) იხ. „ივერია“ №№ 54—56.

დავუბრუნდეთ კიდევ იმისს საპასუხო წერილს.

ბ-ნი მაჩხანელი, იმეორებს-რა იმ საბუთს, რომელსაც ჩვენ შევეხეთ, ამბობს: „ეს აუცილებელი საჭიროება (სარგებლის უთანასწორობა) ყველა ამგვარ დაწესებულებისათვის, და ამ ერთს თვეში რამდენჯერმე ისარგებლა კიდეც ახალმა დეპომ ამგვარის საშუალებითო... და ცოცხალის მაგალითით განაგრძობს: „ნისიად ნასყიდს საქონელს 4% განსხვავება მაინც აქვს ნაღდად ნასყიდზედ და 4% განსხვავება ასს თუმანზედ 40 მან. შეადგენსო“... რომელი სჯობიანო, კითხულობს,—ის, რომ ყოველს ასს თუმანზედ 40 მან. მეტი იხადოს დეპომ ნისიად მოტანილში და ფოსტის ფულის გაგზავნაშიაც სხვა აძლიოს, თუ ის, ერთს თვეში თუნდა ერთი თუმანი სარგებელი გადაუხადოს ასს თუმანზედ თავისს მეზობლებსაო?..“ საიდგან სადაო და წმიდაო საბაო,—ბ-ნ მაჩხანელს ასე უყვარს მასლაათი. ჩვენ ჩვენს წერილში იმას ვამბობდით, რომ სხვათაგან მიბარებულს ფულს უნდა დაუწესოთ სარგებელი ერთხელ და სამუდამოდ გარდაუწყვეტელის ნორმით და არა ისე, რომ დღეს ერთის სარგებლით მივიბაროთ ფული და ხვალ სხვით.

ადვილი შესაძლებელია, ბ-ნ მაჩხანელს ესეც გაუგებრად მიაჩნდეს და ვინ იცის, კიდევ რა კოოპერაციულის მოსაზრებით არ გვიკიჟინოს. განვმარტოთ მაშ პატარა მაგალითით, რომელსაც ბოლოს კითხვის ნიშანს დავუსვამთ: ეს, ვთქვათ, რომელისამე შეუწყნარებელის(!) მიზეზებისა გამო ბანკმა მიიბარა რამდენიმე თუმანი ფული დასაზოგავად,—ნუ დავივიწყებთ, რომ ამ მიბარებულის ფულით უნდა იხელმძღვანელოს გამსესხებელმა კასსამ, რადგანაც სხვა წყაროს არსაიდგან მოელის,—ამავე ფულის მსურველი ე. ი. მსესხებელიც არის, მაგრამ თითონ დეპოს უფრო მომეტებულად, რაიმე შემთხვევით, უჭირს, მაშინ როგორ იქცევა გამგეობა დეპოსი, იმავე მიბარებულ ფულს თითონ იხმარებს თავისის საჭიროებისათვის, თუ მსესხებელს აკმაყოფილებს თავის და რიგად? ვსთქვათ, მსესხებელი დააკმაყოფილა, მაშინ კასსიდგან დეპოს რომ აღარ შეჰხვდეს ფული, უნდა ისესხონ განა კერძო პირთაგან, რა სარგებლის მიცემაც უნდა იყოს საჭირო? მაშ აქციები, წევრები და სხვა რიღასთვის არის მოგონილი? განა რომ იმისთვის, ამ გზით შესდგეს ძირითადი თანხა და თუ არ მართლაც ძლიერ მოულოდნელი გაჭირვება არა, დეპომ თავისს პირმშო შვილს—კასსას არ უნდა მიჰმართოს და თუ ეს აუცილებელ საჭიროებად გახდება, რომ დეპომ სახელ-და-ხელოდ მაინც არის მიჰმართა კასსას, მაშინ რაღა ათი და ოცი თუმანი არის საჭირო, როდესაც შეუძლიან სხვის მიცემას და 8% გადახდევინებას, თითონვე ეს სარგებელი უფრო ადვილად იხადოს, ვიდრე 10% და მეტი პროცენტი? დავანებოთ დროებით ამ კითხვებს თავი და მოისმინეთ მეორე ცოცხალი მაგალითი: „რომელიმე შეუწყნარებელის მიზეზების გამო დეპომ თავისი ნავაჭრი სხვა-და-სხვა ნაწარმოებში დააბანდა, აღარ მოეპოვება ნაღდი, ვადაზედ ჩაიბარის რომელსამე ვაჭარს და ვაჭარიც ტონგით უყიდის საქონელს; მაშინ განა შეიძლება იმ გაჭირვების დროს სხვა ზომის სარგებლით არ ისესხოს დეპომ ფული?.. ვა! მაგას ან რა ლათაიები უნდა, ან სმიტის, რიკარდის, ლასსალის, როტბერტსის და სხვათა მოძღვრებანი! ჩვენში ყოველი გლეხ-კაცი დღესაც მაგ მდგომარეობაში არ არის?!, ერთი რომ წაუჭერს ხოლმე ყელში, მეორეს მიჰმართავს; ოღონდ დამიხსენი ამ გაჭირვებისაგან და სიკვდილამდის შენი მონა ვიქნებიო. მეორე ვაჭარტონმა კარგად იცის, რომ ბატონყმობა აღარ არის და მონობის მაგიერ ხომ იცით, რა სარგებლითა და „ნეუსტოიკებით“ აუხვევს ხოლმე თვალებს?!. ამ ვაჭარტონმა კოოპერაციული მეცნიერება-კი არ იცის, მაგრამ იმაში ვერაფერს და ვერავინ ასწავლის, როგორ ამოჰხუთოს სული გაჭირვებულს! განა რომ ესეც ცოცხალი და ყოველ-დღიური მაგალითია!? რომელიმე დაწესებულებაც რომ ყოველთვის ამასა ფიქრობდეს, დღეს ასს თუმანს თვეში ერთის თუმნის სარგებლით ვიშოვნი და ხვალ თუ დამჭირდა, ასს თუმანში ათსა და ოცსაც მივცემო, მაშინ დამერწმუნეთ, ბატონო, რომ იგი დაწესებულება მშიშარა კრუხსავით მარტო თავისს ერთს კვერცხზედ იჯდება, რომ არ გატეხოს და არც იმ ოცნებებს მოჰკიდებს ხელს, როგორც მოგვითხრობს პროექტის 1 მუხლი მთელის თავისის პარაგრაფებით.

სხვათა შორის, ბ-ნი მაჩხანელი, შემდეგ პატარა ლათაიისა, ბრძანებს: „ბ. ველისციხელს დაჰვიწყებია, რომ მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად წარსადგენ ყველა პროექტს ეჯავრება (?) მეტი ლაპარაკი და დაწვრილებით ახსნა-განმარტება მუხლებისაო“. თუ არ დაიზარებთ და გადაშლით იმ გაზეთის ფურცლებს, რომელშიაც იგი გვაუწყებს დეპო-ბანკის დაარსებას, იქ ამოიკითხავთ ბ-ნ მაჩხანელის ღაღადს: „ვისაც-კი მოძმე ხალხის ჭირ-ვარამი თავისს საკუთარ ჭირ-ვარამივით გულზედ ეკიდება... ვიმედოვნებთ, იგი არ დასტოვებს უყურადღებოდ ხსენებულს პროექტს და ხმას გამოსცემს კრიტიკულად, რომ უფრო საფუძვლიანად დაირკვეს მისი მუხლები რამდენადმე კრიტიკის ცხრილ-ტაბაკში და ისე წარსდგეს დასამტკიცებლად მთავრობის წინაშეო“. ჰხედავთ, ვიდრე მარტო ბ-ნი მაჩხანელი იყო მოძმეთა მოყვარე, მაშინ პროექტისათვის ხმის გამოცემა შეიძლებოდა და რაკი სხვამ გაბედა საქმის გულ-შემატკივრობა, მერე-კი ბრძანებს, პროექტს მეტი ლაპარაკი ეჯავრებაო! ეხლა აქ რომელია მართალი, ის, რომ მთავრობის წინაშე წარსადგენს პროექტს განმარტება არ ეჭირვება და ეჯავრება კიდეც, თუ ის, რომ რამდენადაც პროექტი უფრო რიგიანად არის განმარტებული, იმდენად მთავრობისათვისაც და ყოველის სულისათვისაც მართებულია და მოსაწონი? ამის განმარტება მკითხველთათვის მიგვინდვია და არა მაჩხანელისათვის.

რასა ბრძანებს ბ. მაჩხანელი ჩვენ წინააღმდეგ შესახებ ნისიად გაცემისა? სრულებით არაფერს, გარდა პატარა ლათაიისა და მართლმსჯელობისათვის-კი ეუქცევია მხარი.

არც ჩვენ ჩამოვუთვლით სხვა-და-სხვა ცოცხალს მაგალითებს, რადგანაც ყოველ დღიურ მაგალითებიდგან ჩვენც და ბ-ნ მაჩხანელმაც ძლიერ კარგად ვიცით, რომ თვით წურბელა-ჩარჩებიც-კი დიდად ერიდებიან საქონლის ნისიად ძლევას და თუ იძულებულნი არიან ნისიად მისცენ ვისმე, მაშინ ისიც იმ მარტივის მოსაზრებით, რომ მონისიავეს პირველ ნისიის შემდეგ ჯერ ანგარიშს გაუსწორებენ ხოლმე და შემდეგში კიდევ დაანისიავებენ. ამ შემთხვევაში მათი მოხერხებული ხელოვნება გასაოცარია! ზოგჯერაც, თუ ხანგრძლივის ხნით აძლევენ ისინი ნისიად, ამ შემთხვევაში იმითიცა სარგებლობენ, რომ დრო გამოშვებით წაღებულს ნისიას ერთად შეუკვეცენ, თუ მონისიავეს საღსარი არა აქვს ერთბაშად მიცემისა, მაშინ იმ ფულს სარგებლით დააწერენ და ელოდებიან იმ შემოსავლიან დროს, როდესაც უფრო ადვილია მონისიავეს გამოართონ, პური იქნება თუ ღვინო, მაგრამ ისე-კი არა, რომ ამ გამორთმევის დროსაც ერთი-ორად და სამად არ მოიგონ, ე. ი. ღირებული რამ ნახევარს ფასად არ გამოართონ, ხომ იცით, თითონვე დააყვედრებენ ხოლმე, „რას ინაზები, ნისიაში მიმაქვსო!

დეპო და სხვა ამგვარი დაწესებულებაც ხომ ამ ღონისძიებას არ მიჰმართავს, ბ-ნო დიმიტრი! განა რომ დეპოს სულ სხვა ჰუმანიური დედა აზრი აქვს წინ წამძღვარებული, სულ სხვა რიგად უწყობს ხალხის ყოფა ცხოვრებას ხელს! მაშ რომ ამ თავისს კეთილს განზრახვას არ უღალატოს, არ შეუშალოს ნახტომი, საჭიროა თუ არა, მაშინ ერთხელ და სამუდამოდ გამორკვეულის, აწონ-დაწონილის, დაცხრილულ-დატაბაკებულის, როგორც თქვენა ბრძანებთ, ხელმძღვანელობით უნდა იხელმძღვანელოს დეპომ და არა როგორც მოჰხვდება, როგორც დროს მოთხოვნილებას დაჰხედავს.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამას განმარტება აღარ ეჭირვება.

ნიკო ველისციხელი.

## „ივერიის“ 84 ნომერში დასტამბულ შენიშვნის გამო.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა შესახებ იმ შენიშვნისა, რომელიც „ივერიის“ 84 ნომერში იყო დასტამბული. წერილს „ხმა პროვინციიდგან“ სრულიადაც საგნად არა ჰქონია გაერჩია მეთაური ლალისა. იმ წერილით გვინდოდა აღგვენიშნა, რომ მესამე პროექტი წესდებისა ხელსაყრელია პროვინციისათვის. ამისი მიზეზებიც დასახელებული იყო წერილში, მაგრამ ის ნაწილი ჩვენდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ დაისტამბა. შესახებ მეთაურისა იყო ნათქვამი, რომ სტუდენტებისაგან შემდგარი პროექტი ბ. ლალისაგან საუკეთესოდ აღიარებულიაო. ამ უკანასკნელს სამს სიტყვას აუღელვებია ბ-ნი ლალი და შენიშვნაში მიკიჟინებს: „ივერიის“ გუშინდელს ნომერში დაისტამბა წერილი „ხმა პროვინციიდგან,“ რომლის ავტორს სრულიად ვერ გაუგია იმ წერილის აზრი, რომელსაც არჩევს. ალბად ავტორს მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაუთვალიერებია ჩვენი წერილი და არ წაუკითხავს-კი, თორემ ადვილად გაიგებდა გასაგების ენით გამოთქმულს მარტივს აზრს." მე თუ კარგად გადამეთვალიერებინა ხსენებული წერილი, ერთის ან ორის ადგილის წაკითხვიდგან გამოვიტანდი აზრს გამოთქმულს სამის სიტყვით „მისგანვე (ლალისაგან) საუკეთესოდ აღიარებულია", მაგრამ განა არის ამისთანა ადგილი წერილში? სრულიადაც არ არის წერილში ერთი რომელიმე ადგილი, რომელიც სავსებით შეიცავდეს გამოთქმულს აზრს. მე ის აზრი, რომ სტუდენტებისაგან შედგენილი პროექტი ბ. ლალისაგან საუკეთესოდ აღიარებულია, გამოვიტანე ბ. ლალის მეთაურის გულ-დადებით წაკითხვისაგან. აი, როგორ, სტუდენტებს პროექტს სურს დაამყაროს ისეთი „საზოგადოება", რომელიც პირ-და-პირ აკმაყოფილებს ქართველს საზოგადოებაში თავ-დაპირველად დაბადებულს აზრსა და აღძრულს უახლოესს საჭიროებას. პროექტში არის შეცდომანი, მაგრამ ისინი წვრილმან საგნებს შეეხებიან და მათი გასწორება დროებით გამგეობას უნდა მიენდოს." ცოტა ქვევით ამბობს, რომ თუ პროექტი შეივსება მუხლით შესახებ საზღვარ გარედ მყოფ მოსწავლე ყმაწვილებისა, „მაშინ იქნება წესდება სრული და მისი მიმართულება, მისი საზოგადო პრინციპი დაურღვეველი". მეორე წესდებაზედ ამბობს, რომ ის მოსწავლენი „რომელნიც ჩვენზედ ახლო არიან, ისე არ არიან გაჭირვებულნი, როგორც სამშობლოს მოშორებულნიო. ბოლოს შესახებ თვით პროექტისა ამბობს: „მაგრამ თუ ამ გზას დავადგებით, თუ ამ პრინციპს ავღიარებთ, მაშინ უმჯობესი იქმნები მესამე წესდებას მივმართოთ, რომელშიაც ეს პრინციპი უფრო სავსებით არის გამოთქმული" მესამე პროექტზედ ამბობს: „მაგრამ იმ მიზეზების გამო, რომელიც ზევითაც მოვიხსენიეთ, ჩვენს საზოგადოებას არ ძალ-უძს დღესვე შეუდგეს ასეთს რთულს და მძიმე საქმეს. თუ „საზოგადოება" ამ გზას დაადგება, მისი მოღვაწეობა განიბნევა, მეტად დანაწილდება და თვალ-საჩინოდ ვერავის აღმოუჩენს საჭირო დახმარებას. ჩვენის აზრით, საჭიროა არ დავივიწყოთ, ხელიდგან არ გავუშვათ უმთავრესი საგანი, რომელმაც გამოიწვია წესდების შედგენა—ესე იგი— სტუდენტთა დახმარება და ამასთანავე სავსე და რთული ,,წესდებაც" ვიქონიოთ, რადგანაც მომავალში უთუოდ გამოგვადგება." ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენი ამოვწერე, მაგრამ მკითხველმა იცოდეს, რომ კიდევ დამრჩა ამოსაწერი. თუ მართალი გინდათ, ამ სამ ადგილიდგან და არც მთელ წერილიდგან არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომელი პროექტია დღესვე სახელმძღვანელოდ მოწონებული. ხოლო რადგანაც ორს უკანასკნელზედ იმ აზრისაა, რომ „ჩვენს საზოგადოებას არ ძალ-უძს დღესვე შეუდგეს ასეთს რთულს და მძიმე საქმეს. თუ „საზოგადოება ამ გზას დაადგება, მისი მოღვაწეობა განიბნევა, მეტად დანაწილდება და თვალ-საჩინოდ ვერავის აღმოუჩენს საჭირო დახმარებას," და რადგანაც სტუდენტების პროექტში მცირე ნაკლი აღინიშნა, რომლის გასწორებასაც დროებით ამორჩეულს გამგეობას ავალებს და რომელსაც შესწორების შემდეგ სრულს უწოდებს, შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ უფრო საუკეთესოდ ამას აღიარებს. ვსთქვათ, მე ვერ გავიგე, რომელს აძლევს ბ. ლალი უპირატესობას და ჩემი გაუგებრობის წყალობით სხვა დავასახელე, განა ეს ისეთი დანაშაულობაა, რომელიც სასტიკს სასჯელს ითხოვდეს? შეიძლება დანაშაულად ჩამთვლოდა, თუ-კი ჩემს წერილში საგნად შეიქმნებოდა ის, რომ ბ-ნ ლალისათვის მეთქვა, აი, თქვენ ვერ აირჩიეთ საუკეთესო, ამა-და-ამ საფუძვლით სტყუით და სხვ. მე წერილის საგნად მაქვს მარტო იმ პროექტების პრინციპის შესახები მხარე და თუნდაც ჩემის წერილის უმთავრეს საგანზედ ლაპარაკის დროს შემეპარა შეცდომა, რომელიც არაფრით არ ამცირებს ღირსებას ამ წერილისას, საიდგანაც შეცდომით სხვა ამოვიკითხე. განა ამისათვის შეიძლება საქვეყნოდ ითქვას: „კარგი იქნებოდა დაახსოვდეს ბ-ნს „ი"-ს რომ საჭიროა იმისი წაკითხვა, რის გარჩევასაც აპირებს!" დიდება შენთვის ღმერთო! სად არის ჩემს წერილში ბ-ნ ლალის წერილის გარჩევა, რომლისათვისაც ასეთი სასტიკი და მკაცრი საყვედური დავიმსახურე? უნდა მოგახსენოთ, რომ სასტიკი და მკაცრი საყვედური იარაღია, მარჯვე და საიმედო იარღიც არის, თუ ეს იარაღი მარჯვედ არის მოქნეული, უეჭველი შედეგი მისი არის ის, რომ იმ პირს, ვის წინააღმდეგაც ნახმარია იარაღი, ჯერ ყველა გზაზედ დაუწყებს ყურებასა და მალე სულაც ზურგს შეაქცევენ. ამიტომაც გამოცდილი კაცი ამ იარაღს არ იხმარს საზოგადო სიკეთის მომხრეს წინააღმდეგ, თუნდა ამ მომხრეს შეცდომებიცა ჰქონდეს, შეცდომის გასწორებისათვის იარაღი ესრედ წოდებული „მხილება." ხოლო სასტიკი და მკაცრი საყვედური მხოლოდ საზოგადო სიკეთის მგმობელის წინააღმდეგ უნდა ილესებოდეს.

ი.

## პასუხი ბ-ნს „ქართულ გალობის მოყვარეს".

(„ივერია" № 50 1895 წლისა).

„მოყვარე მტერი მოყვრისა,
მტერზედა უფრო მტერია".
რუსთაველი.

ვის ჰქვიან ჩვენში დღეს ჩვენის გალობის ჭეშმარიტი მოყვარე? იმას, ვინც ცდილობს ჩვენი მშობლიური ხმები ნიშნებით, ნოტებით, ქაღალდზედ გამოხატოს, რათა ამით გაქრობისაგან დაიფაროს ისინი. მოყვარე ჰქვიან ბ. ფილიმონ ქორიძეს და მისთანათა, რომელნიც აგერ ამდენი ხანია იღვწიან ამ მიმართულებით. მოყვარე ჰქვიან ბ. არისტო ქუთათელაძეს, რომელმაც კისრათ იდვა, სხვათა შორის, შეაგროვოს ნამდვილ გალობის მოყვარეთაგან მცირეოდენი წვლილი ნოტებზედ გადაღებელ ხმების გადასაღებად; მოყვარე ჰქვიან მაქსიმე შარაძეს, რომელმაც განიზრახა უკვე გადაღებული ხმები, ცალკე რვეულებად აქა-იქ მიმალულები, დასტამბოს და ამით ყოველს „მოსალოდნელ ხიფათს" გადაარჩინოს ისინი. აი, სწორედ ამ ნამდვილმა გალობის მოყვარეებმა მომანდვეს მე შარშან ზაფხულს, ქადილი მიმერთმია იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისათვის. „ნება გვიბოძე", სთხოვდა ბ-ნი შარაძე მღვდელ-მთავარს, რათა იმერული საგალობლები გადაღებული ნოტებზედ ბ. ქორიძისაგან, დავსტამბოთ და ამით დავიხსნა ისინი მოსალოდნელ ხიფათისაგან". მისმა მეუფებამ, რასაკვირველია, ნება დართო და დააწერა ზედ: „ნოტები სიით, ხელწერილ ქვეშ, ჩაიბაროს ივლიანე წერეთელმა შარაძის გადასაცემად. და რომ ამასთანაც რამე ხიფათი არ შეჰმთხვევოდა ძვირფასს ხელ-ნაწერებს, ზემოდ მოხსენებულმა ქართულის გალობის ნამდვილმა მოყვარეებმა ეს ხელ-ნაწერები ჩააბარეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას", საიდგანაც სარგებლობდა ბ-ნი შარაძე.

სამწუხაროდ, ნამდვილ გალობის მოყვარეთა წინასწარმეტყველება, ხიფათის შესახებ, მალე გამართლდა. როდესაც ჩავიბარე ნოტები, დააკლდა ას ცხრამეტი თავი საგალობელი (სულ გადაღებული იყო ოთხასი ნომერი). ამ გარემოებამ ერთობ შეაწუხა ეპისკოპოსი. აღმოჩნდა, რომ საგალობლები წაღებული ჰქონოდა სახელმძღვანელოდ ლოტბარს საეპარქიო მგალობელთა ხოროსას ბ. ან. ბენაშვილს მღვდელ-მთავრისაგან, რომელმაც მაშინვე ოფიციალურად მისწერა ბ. ბენაშვილს 9 სექტემბერს 1894 წელს № 2294 ,შემდეგი: „მოგწერთ თქვენ, დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ ჩემს კანცელარიაში ყველა ნოტები გამოუკლებლად, რომლებიც ჩემგან გაქვთ წაღებული". ამ მოთხოვნაზედ ბ. ბენაშვილმა მხოლოდ წარმოუდგინა კანცელარიას გახსნილი რვეული, ესე იგი, ერთის რვეულის მეოთხედი ნაწილი, რომელშიაც არის დარჩენილი მარტო ცამეტი თავი საგალობელი. (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ, როდესაც ბ. ქორიძე იღებდა ნოტებზედ ამ საგალობლებს, სამ გადამცემელთა შორის ერთი მე გახლდით. ოთხასი ნომერი გავყავით რამდენიმე რვეულად. თითოეული რვეული შეკინძულია ცალკე და ბოლოში ხელ-მოწერილია გადამღებ-გადამცემელთაგან). ვინაიდგან დაკლებული საგალობლები იყო საჭირო ბ. შარაძისათვის პირველ წიგნში მოსათავსებლად, მან კერძო წერილით მიჰმართა ამის შემდეგ მღვდელ-მთავარს.

ბ. ან. ბენაშვილს კიდევ მოსთხოვეს დაკლებული საგალობლები, მაგრამ პასუხი არვის აღირსა. მხოლოდ ერთის თვის შემდეგ ვიღაცას მოუტანია და გადაუცია ეპისკოპოსის სასახლის წყლის მზიდველისათვის ერთი რვეული, რომელიც შეიცავს სამოცდა-თერთმეტს თავს საგალობელს. აი, სწორედ ამ რვეულზედ ამბობს ბ. „ქართულ გალობის მოყვარე (?) რომ ისინი თვით მღვდელთ-მთავრის სახლში აღმოჩნდაო" და მე ვითომ ტყუილად შევწამე ბ. ბენაშვილს მათი მითვისება, (ივერია № 50) მაგრამ თუ ეს მართლა ყოფილიყო, დიალაც არაფერი მექნებოდა სასაყვედურო ბ-ნ ბენაშვილთან. საქმეც ის არის, რომ კიდევ გვინდა აღმოჩნდეს ორმოცი ნომერი, რომელიც გვაკლია. დიაღ, სწორედ, იმ დანარჩენ ორმოც საგალობელსაც რომ გადასცემდეს ვისმეს, თუნდა იმავე მეწყლეს, ჩვენი საქმე ამ გზობით მორჩენილი იქმნებოდა. მე შესრულებული მექმნებოდა ის, რაც მომანდეს ქართულ გალობის ნამდვილმა მოყვარეებმა და მიბრძანა მღვდელმთავარმა.

(მიითვისა თუ არა ბ. ბენაშვილმა ჩვენი საგალობლები, კარბელაშვილის კილო გადაიღო, თუ ჩვენი გადააკეთა—ამაზედ არა გვაქვს ჩვენ ლაპარაკი).

დასასრულ, უნდა ვსთქვათ, რომ ის რვეული, რომელიც დღეს დაკარგულია, ნიშნობლივ ვიცი, მის ხელში იყო. იმ რვეულიდგან ბენაშვილის სახლში გადმოწერა ერთმა ქართულ-რუსულ ხორის მაგალობელმა, ბ. ივლიანე ნიკოლაძემ, მხოლოდ ერთი საგალობელი ,,შენდამი იხარებს მამადლებულო" და სწორედ ის რვეული ბენაშვილს არ დაუბრუნებია ჩვენთვის... აქვე ვსთხოვთ ბ. ივლიანე ნიკოლაძეს, გამოაცხადოს სინამდვილე მოხსენებულისა. ხოლო ბ. ბენაშვილი, მისი მფარველის მოწყალებით, დღეს ხომ მაინც იძულებულია, ხმა ამოიღოს და გაიმართლოს თავი საქვეყნოდ, თუ რა უყო ის რვეული, რომელზედაც ასე მოუფიქრებლად ასტეხა დავა მისმა მფარველმა...

ივლიანე წერეთელი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როდესაც სასჯულო საქმეთა მინისტრად ბ. მანასეინი იყო, სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი, რომლის ძალით მსაჯულს, როგორც-კი შეიქნებოდა სამოცის წლისა, სამსახურისათვის თავი უნდა დაენებებია. სახელმწიფო საბჭომ, როდესაც სასჯულო საქმეთა მინისტრად მანსეინის მაგიერ ბ. მურავიოვი დაინიშნა, პროექტი ახალს მინისტრს დაუბრუნა ხელ-ახლად გადასასინჯად. ბ. მურავიოვმა პროექტის განხილვა მიანდო ცნობილ იურისტთა კომისიას, რომელსაც მუშაობა უკვე გაუთავებია და პროექტი კვლავ სახელმწიფო საბჭოსთვის წარუდგენია. გაზეთი „ნოვ. ვრ." ამ პროექტის წინააღმდეგია და იმედი აქვს, რომ სახელმწიფო საბჭო მას უარ-ჰყოფს. რომ პროექტი ეხებოდეს იმათ პროფესიას, ვინც ფიზიკურ მუშაობას მისდევს, მაშინ კიდევ ითქმებოდა რამე მის გასამართლებლადო, ამბობს გაზეთი. ფიზიკური შრომა მართლა ლახავს კაცს, ძალ-ღონეს ულევს მას, ასე რომ 60 წელს შემდეგ ის არც ივარგებსო. ამ გარემოებას განათლებულ სახელმწიფოებში კიდევაც მიაქციეს ყურადღება და შემოიღეს პენსიის დანიშვნა იმ მუშათათვის, რომელთაც სიბერისა გამო მუშაობა აღარ შეუძლიანთ, მაგრამ ამ საგნის აღძვრა იმათ შესახებ, რომელნიც გონებით შრომობენ—როგორც მაგალითად მსაჯულნი, ყოველს აზრს და სამართალს მოკლებულია! ძველადაც და ახლაც კაცობრიობა მოხუცებულთ პატივსა-სცემდა და მათ რჩევასა და სჯას სიხარულით ისმენდა, რადგანაც მოხუცებულთ, ჰკუისა, დამჯდარის ხასიათისა და ცოდნის გარდა, დიდი გამოცდილება აქვთ და ბევრი დაკვირვება გამოუტანიათ ცხოვრებიდგან.

საბერძნეთში და რომში უმაღლესი დაწესებულება უთუოდ მოხუცებულებისაგან შესდგებოდა. სიტყვა „სენატი," მაგალითად, წარმოსდგა ლათინურ „cenex" იდან, რომელიც ნიშნავს მოხუცს. თანამედროვე საზოგადოება იმგვარსავე პატივსა-სცემს მოხუცებულთ, როგორც ძველად სჩვევიათ. მაშ, რით აიხსნება ეს ამხედრება სასჯულო საქმეთა სამინისტროსი მოხუცებულთა წინააღმდეგ?!

„მითხარით, ღვთის მადლით, ამბობს სუვორინის გაზეთი, რატომ 60 წლის კაცს არ შეუძლია მსაჯულად იყოს, თუ იგი 20 ან 25 წელიწადია ამ თანამდებობას ასრულებს? როგორ ჰკარგავს უცბად ეს კაცი ყოველს იმ ღირსებას, რომელიც მსაჯულს ესაჭიროება, როგორც-კი 60 წლისა შეიქნება? თუ მართალია, რომ მოხუცებული მსაჯული არ ვარგა, მაშ არც მოხუცებული ადმინისტრატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი და სხვა-და-სხვა არ ვარგებულან?! რად ვჩერდებით შუა გზაზედ: თუ 60 წლის კაცები სამსაჯულოებიდგან უნდა განვდევნოთ, სამართალი მოითხოვს განიდევნონ მოხუცნი სენატიდგან, სახელმწიფო საბჭოდგან, სამინისტროებიდგან და სხვა-და-სხვა დაწესებულებიდგან.

## ყმაწვილი რედაქტორი.

გაზეთ „სენნი ჰაურ"-ის ახალგაზდა რედაქტორს ტელლო დეპერს განუზრახავს რუსეთის ნახვა. ეს ყმაწვილი თხუთმეტის წლისაა და რამდენიმე წელიწადია, რაც რედაქტორობს ერთს საყმაწვილო გაზეთს. თანამშრომლებიც ამ ჟურნალისა რედაქტორსავით ახალგაზდანი არიან და დიდს ნიჭს იჩენენ. ჟურნალს, როგორც საყმაწვილო ლიტერატურულს ორგანოს, სხვა მიზანიცა აქვს. ის ჰკრებავს მრავალს შემოწირულებას ღარიბ ყმაწვილთა სასარგებლოდ.

ახალგაზდა რედაქტორს რამდენჯერმე უმოგზაურნია, შემოუვლია საფრანგეთი, ყოფილა პარისში, საცა ის სიხარულით მიუღიათ გამოჩენილს მწერლებს ჟულეტა ადანს, ჟულ სიმონს. საფრანგეთიდგან ეგვიპტეს წასულა, უნახავს ქედივი და პრინცესა ნაზლი. ერთის სიტყვით, მრავალი აწინდელი გამოჩენილნი პირნი უნახავს. ყველანი სიხარულით ეგებებოდნენ ახალგაზდა რედაქტორს, რომელმაც მოიპოვა სიყვარული როგორც ძველს, ისე ახალს ქვეყნებში.

## უცხოეთი

**გერმანია.** რეპრესიულ კანონთა პროექტის შესახებ პარლამენტში დიდი კამათი ასტყდა. კანცლერმა განაცხადა, მთავრობის აზრი ის არის, რომ სახელმწიფოს უფლება განმტკიცდესო. უჩვენა რა კანცლერმა, რომ ამ პროექტის შესახებ ხალხში მოძრაობამ იჩინა თავი, შენიშნა, რომ ამ მოძრაობაში დიდს მონაწილეობას იღებდნენ ნაციონალ-ლიბერალნი, რომლებიც წინად ისე ქინიანად თხოულობდნენ რეპრესიულ საშუალებებს, და დღეს-კი ამავე საშუალებათ ეწინააღმდეგებიანო. კანცლერი სთხოვდა, რომ ეს კანონ-პროექტი შეწყნარებული ყოფილიყო, თუნდაც ცვლილებით; კანცლერს არ სჯერა, რომ კანონ-პროექტი მეცნიერების თავისუფალს განვითარებას დააბრკოლებს რითმე. კანცლერის შემდეგ თითქმის მთელი საათი ილაპარაკა კანონ-პროექტის წინააღმდეგ თავისუფალ მოაზრე ბარტმა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონსერვატორთა წინამძღოლის მანტეიფელის შენიშვნამ. მანტეიფელმა სთქვა,—რომ მისი პარტია მხოლოდ მაშინ მიიღებს კანონ-პროექტს, როდესაც ამ კანონის უძ-

ლი[illegible] იურ[illegible]თა მიღების შესახებ განაცხა[illegible] ხმობას ცენტრი; წინაალმდეგ[illegible] ხვევაში კონსერვატორნი [illegible] ონ-პროექტს უარ-ჰყოფენო. ს[illegible]ციალ-დემოკრატი აუერი თავი[illegible]ს პარტიის მხრივ ლაპარაკობდა პრო[illegible]ექტის წინაალმდეგ.

—

**ინგლისი.** ავადმყოფობის შემდეგ როზბერი 21 აპრილს პირველად მივიდა პარლამენტში. სწორედ ამ დროს „დეილ ნიუზში“ დაიბეჭდა შემდეგი შენიშვნა: „ნუ-თუ კიდევ აქვს რაიმე საფუძველი იმ ხმა[illegible], რომ როზბერი სამსახურს თავს ანებებსო. პირველი მინისტრი ეხლა სრულიად ჯან საღად არის და ყოველ-დღე თავისს ოფიციალურ საქმეების კეთებაშია გართულიო. ყოვლს სიმართლეს მოკლებულია აგრეთვე ის ხმა, ვითომ პარლამენტი უნდა დაითხოვონო. მინისტრთ გარდაწყვეტილი აქვთ ამ სესსის საქმეთა წარმოება არ შესწყვიტონო“.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

30 აპრილი.

**ბერლინი.** პარლამენტმა სრულიად უარ-ჰყო, როგორც მთავრობის მიერ წარდგენილი აგრეთვე კომისიის მიერ შეცვლილი კანონ-პროექტი სახელმწიფოს მოწინააღმდეგეთა შესახებ.

**ვენა.** ფერდინანდ კობურგელი მოვიდა ვენაში.

**ლონდონი.** როგორც „ტაიმსი“ იუწყება, პარისში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ პარისის ბირჟის დახმარებით ჩინეთმა ნუდა ფული ისესხოს.

**იოკოჰამა.** ადმ. კაბაიამი ფორმოზის მთავარმართებლად იქმნა დანიშნული.

## „ივერიის“ ფოსტა.

—

**ქ. ბათუმი. გიორგი ჭელიძეს.** გაზეთი, რასაკვირველია, ყოველ-დღე გეგზავნებათ, ხოლო თქვენ რისთვის ღებულობთ რამდენსამე ნომერს ერთად—ეს მანდვე მოიკითხეთ.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სტაროკინ შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ[illegible]სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპ[illegible] დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)



„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

36—1—4



!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური
ბორნო-ტიმოლიულის საპონი
გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აგმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.

(24—2—3)



ქირურგიული სამკურნალო
„ჰ ნ ი“
მოსკოვში.

სამკურნალოს კიდევ მიემატა [illegible] ახლად გაკეთებული პავილიო[illegible]. მიიღებიან როგორც მოზრდილ[illegible], ისე ბავშვები ქირურგიულისა და შ[illegible]დით ავადმყოფნი. საავადმყოფ[illegible]ში ყოფნაში და წამლობაში თვი[illegible] ერთმევად 60-დგან 300 მან. ავად-მყოფთ, უფრო-კი ბავშვებს, შეიძლება თან ჰყავდეთ მშობლები, ან ნათესავები. სამკურნალოსა ჰყავს თავისი საკუთარი მრჩეველი ექიმები.

პატრონი და დირექტორი ექიმი **პ. ი. მოდლინსკი.** ორდინკა, მ. კადაშევის მოსახვევი, საკუთ[illegible]რი სახლი.

(10—3—3.)


# ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცნობებს ქ. ტფილისში უძრავ ქონებათა პატრონებს, რომ ამ 1895 წლის 15 აპრილისათვის მის მიერ შედგენილია გასანაწილებელი სია უძრავ ქონებათა გარდასახადის გაწერის თაობაზედ. ეს გარდასახადი დაწესებულია სახელმწიფო საბჭოს 1893 წლის 27 დეკემბერს უმაღლესად დამტკიცებულის აზრის თანახმად.

1895 წ. გარდასახადი ჯამი შეადგენს 68,529 მან. და 52 კ. სამის წლით 1894—1896 წლ. და გარდასახადის აკრეფის ხარჯად ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილებით დანიშნულია 2,600 მ., რომელიც თანახმად მიწებზედ დაწესებულ გარდასახადის დებულების მე 13 მუხლისა უნდა გამოირთვათ მამულის პატრონთ, რომელთაც გარდასახადი აქვთ გაწერილი.

გარდა ამისა მდგომარე 1895 წელს აგრეთვე განაწილებულ იქმნა 1894 წლის დამატებითი ჯამი—4,918 მან. 39 კაპ., რადგან შ.რშან უმაღლესად დაუმტკიცებლობის გამო მთლად კავკასიისათვის საერო ხარჯთ-აღრიცხვისა, განაწილებულ იქმნა თანახმად ტფილისის გუბერნატორის მოწერილობისა 31 დეკემბერს 1893 წ. № 21,419—63,611 მან. 13 კ. სამაგიეროდ 68,529 მ. 52 კ., რომელიც უნდა გაწერილიყო მაშინ.

1895 წ. დ საფასებელ სიაში შეტანილი ქ. ტფილისის უძრავ მამულების ღირებულება იმ საფუძვლით, რა საფუძვლითაც ქალაქის მამულები დაფასებულია, გარდაწყვეტილია 36,155,715 მ. გამოანგარიშებულია—(მეტი შედარებით 1894 წ. 1,051,078 მ.), მაშასადამე ამ გარდასახადის რაოდენობა იქნება:

**1895 წლის.**

| დასაფასებელი ჯამი. | ახალი გარდასახადი. | | გარდასახადის აკრეფის ხარჯი. | | სულ. | | დასაფასებელი ჯამი. | ახალი გარდასახადი. | | გარდასახადის აკრეფის ხარჯი. | | სულ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანეთი. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 100,000 | 189 | 54 | 7 | 20 | 196 | 74 | 700 | 1 | 33 | — | 05 | 1 | 38 |
| 80,000 | 151 | 63 | 5 | 76 | 157 | 39 | 500 | — | 95 | — | 04 | — | 99 |
| 50,000 | 94 | 77 | 3 | 60 | 98 | 37 | 300 | — | 57 | — | 02 | — | 59 |
| 30,000 | 56 | 86 | 2 | 16 | 59 | 02 | 100 | — | 19 | — | 01 | — | 20 |
| 15,000 | 28 | 43 | 1 | 08 | 29 | 51 | 80 | — | 15 | — | 01 | — | 16 |
| 10,000 | 18 | 95 | — | 72 | 19 | 67 | 50 | — | 09 | — | — | — | 09 |
| 8,000 | 15 | 16 | — | 58 | 15 | 74 | 40 | — | 08 | — | — | — | 08 |
| 6,000 | 11 | 37 | — | 43 | 11 | 80 | 30 | — | 06 | — | — | — | 06 |
| 4,000 | 7 | 58 | — | 29 | 7 | 87 | 10 | — | 02 | — | — | — | 02 |
| 2,000 | 3 | 79 | — | 14 | 3 | 93 | 9 | — | 02 | — | — | — | 02 |
| 1,000 | 1 | 90 | — | 07 | 1 | 97 | 5 | — | 01 | — | — | — | 01 |
| 900 | 1 | 71 | — | 06 | 1 | 77 | 3 | — | 01 | — | — | — | 01 |

**ახალი ხარჯი 1894 წ.**

| ახალი გარდასახადი. | გარდასახადის აკრეფის ხარჯი. | | ახალი გარდასახადი. | გარდასახადის აკრეფის ხარჯი. | |
|---|---|---|---|---|---|
| მანეთი. | მან. | კაპ. | მანეთი. | მან. | კაპ. |
| 100,000 | 14 | 1 | 1000 | — | 14 |
| 80,000 | 11 | 21 | 900 | — | 13 |
| 50,000 | 7 | 1 | 700 | — | 10 |
| 30,000 | 4 | 20 | 500 | — | 7 |
| 15,000 | 2 | 10 | 300 | — | 4 |
| 10,000 | 1 | 40 | 100 | — | 1 |
| 8,000 | 1 | 12 | 80 | — | 1 |
| 6,000 | — | 84 | 50 | — | 1 |
| 4,000 | — | 56 | 40 | — | 1 |
| 2,000 | — | 28 | 30 | — | — |
| — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — |

**მაგალითი** 1895 წ.: ამგვარად, 8,745 მან. დაფასებულს მამულს გაეწერება გარდასახადი—16 მან. 58 კაპ. (8,000 მ.—15 მ. 16 კ., 700 მან. 1 მ. 33 კ., 40 მან.—08 კ. და 5 მან.—01 კაპ. სულ 16 მან. 58 კაპ.) და გარდასახადის აკრეფის ხარჯი—63 კ. (58 კ.+05 კ.=63 კ.); 56,638 მან. დაფასებულს მამულს—სახელმწიფო ხარჯი 107 მ. 36 კ., (94 მ. 77 კ.+11 მ. 37 კ.+1 მ. 14 კ.+06 კ.+02=107 მან. 36 კ.) და გარდასახადის აკრეფის ხარჯი—4 მან. 08 კ. (3 მან. 60 კ.+43 კ.+05 კ.=4 მ. 08 კ.) ე. ი. ახალის გარდასახადის აკრეფის ხარჯით ნაკლებია ქალაქის დას ფასებელ გარდასახადზედ ¼ დით.

1894 წ.: 8,734 მან. დაფასებულს მამულს შეხვდება გარდასახადი—1 მან. 22 კ. (1 მ. 12 კ.+10 კ.=1 მ. 22 კ.); 54,340 მან. დაფასებულს—7 მ. 62 კ. (7 მან. 01 კ.+56 კ.+04 კ.+01 კ.=7 მან. 62 კ.

გარდახდევინება დარჩენილის გარდასახადისა 1888, 18[illegible]0 და 1891 წწ., რომელიც ნაწილ ნაწილად უნდა იქმნას გარდახდილი ხუთის წლის განმავლობაში, წელსაც გამოერთმევა ⅕ ნაწილი.

უძრავ მამულების ახალ გარდასახადს შორის ის განსხვავება არის, რომ ახალი გარდასახადი არ გაეწერება:

1) იმ ქალაქის განაპირა მყოფ ცალიერ მიწებს, რომელიც არაკითარს შემოსავალს არ იძლევა (მიმართულება იმ მიჯნისა, რომელიც ქ. ტფილისის შუა ადგილებსა ჰყოფს ქალაქის განაპირა მიწებისაგან, ნაჩვენებია დაწვრილებით 1889 წ. გაზეთ „კავკაზი“-ს მე-114 № ში).

2) იმ მცირე ფასიან მამულებს, რომელსაც გარდასახადი 25 კაპ. ნაკლები შეხვდება (გასანაწილებელ სიით სულ უმცირესი ფასი ცალკე მამულისა ამ 1895 წ. 130 მ.).

3) სახელმწიფო მამულებს.

უფრო დაწვრილებითის ცნობის შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში, სადაც ერთის თვის განმავლობაში განცხადების დაბეჭდვიდგან გაზ. „კავკაზში“ მიღებული იქმნება თხოვნა იმ მემამულეთაგან, რომელნიც ასეთის განაწილებით კმაყოფილნი არ არიან.

ვადის ერთის თვის გასვლის შემდეგ ქალაქის გამგეობა განაწილებულს სიას წარუდგენს ქალაქის საბჭოს და აგრეთვე უძრავ-ქონებათა პატრონთა თხოვნას გარდასახადის შესახებ და გამგეობის პასუხს. დამტკიცდება თუ არა განაწილებული სია საბჭოსაგან, ქალაქის გამგეობა დაუყოვნებლივ დაურიგებს უძრავ-ქონებათა პატრონებს ფურცელს, რომელშიაც საბოლოოდ იქნება აღნიშნული, თუ რომელს ქონებას რა გარდასახადი გაეწერა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Мая 1895 г. — სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა — რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე